სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/38

ქ. თბილისი

27 იანვარი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების, 2020 წლის 27 იანვრის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის №6 შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში, ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, რექტორის თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს დავით გურგენიძე და შეუდგეს იგი უფლებამოსილებას 2020 წლის 16 თებერვლიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**